№ 174

პარასკევი, 11 აგვისტო, 1900 წ.

** გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 174

პარასკევი, 11 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გ. მავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ფოთის საბუღალტერო კურსები

კ. გიგინეიშვილისა.

ახალ შემომსვლელთაგან თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან. მსურველთ პირობები და პროგრამები გაეგზავნება მუქთად. (15—6.—15)

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები**, თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე**, ისე **სარჩულები**. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფურიძით და ნაჭრობით.

(50—6.—12) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## კანტორა

**ნოტარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა** ღიაა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, სახლი № 2. (3—1)

**გორის ანასტასიას**

## პროგიმნაზიაში

28 და 31 აგვისტოს მოხდება ხელმეორე და მისაღები ეგზამენები, ხოლო 1 სექტემბერს პარაკლისი იქნება გარდახდილი და სწავლა დაიწყობა.

მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7 წლიდგან, რომელთაც სრულიად არ იციან რუსული ენა და წერა-კითხვა ქართულს ენაზედ. (3—უ.—2)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი**. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

## ნასიძე

**15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.**

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12-მდე და საღამოობით 5—7-მდე (30—უ.—16)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. ბ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთამაზოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი-4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საკანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

*** გუშინ კოჯორიდგან ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, რომელმაც გუშინვე მთავარ-მართებლის სასახლეში მთხოვნელები მიიღო. დღეს, გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე ისევ დაბრუნდება კოჯორში.

*** გამოქვეყნებულ იქმნა ამ დღეებში ახალი წესი იმის შესახებ, თუ ძაღლები რა რიგად უნდა წაიყვანონ ხოლმე რკინის გზით. ახალის წესით, 15 ენკენისთვიდგან ძაღლებს რკინის გზით წასაყვანად უიმისოდ არ მიიღებენ, თუ პირი აკრული არ ექნებათ და ჯაჭვი არ ებმებათ.

*** საშუალო სასწავლებლების უფროსებსა და სახალხო სკოლების დირექტორებს რჩევა ეძლევათ, რაც შეეძლებათ ეცადნენ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ზედმიწევნით გააცნონ შემნახველ კასსების კანონი. ამასთანავე ურჩევენ, მასწავლებლებმა თავისის მაგალითით უჩვენონ მოწაფეებს, თუ როგორ შეიძლება სულ მცირე შეძლების პატრონმა გაფრთხილებით ფული შეინახოს და დაზოგვას მიეჩვიოს.

*** რადგანაც ქალაქის გამგეობას გარდაწყვეტილი აქვს ახალი შენობაააგოს დედათა სიფილიტიურ საავადმყოფოსათვის, ამისთვის, როგორც შევიტყეთ, განზრახვა თურმე აქვთ არსებული ამ საავადმყოფოს შენობა ქალაქის შეუძლებელთა თავ-შესაფარს დაუთმონ და ნავთლუღში კიდევ შეშლილთა ახალ-შენი გამართონ.

*** ქალაქის მოურავის მიერ 1895 წელს წარდგენილი საჩივარი ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოზედ, რომელმაც 1894 წელს 31 ოქტომბერს მომხდარი ქალაქის საბჭოს დადგენილება გააუქმა, უმართებულესს სენატს ყურადღების ღირსად არ უცვნია და დაუდგენია უშედეგოდ იქმნას დატოვებული.

*** როგორც შევიტყეთ, კავკასიის რკინის გზათა სამმართველო პროექტს თურმე ჰგზავნის მალე პეტერბურგში, რომ ნავთის გასაყვან მილის სიგრძეს მოემატოს.

*** საერო სკოლების მასწავლებელ კაცთა და ქალთა საპენსიო კასსის შესახებ, რომელიც 1901 წ. 1-ლ იანვრიდგან დაიწყებს მოქმედებას, განმარტებულია, რომ აღნიშნულ კასსიდგან მონაწილეთ დახმარება სამსახურის წელთა მიხედვით დაენიშნებათო. სამსახურის წელთა გარეშე ყურადღება ექმნება მიქცეული აგრეთვე იმას, თუ მონაწილე რამდენს იღებდა ჯამაგირად, და პენსია მიეცემა იმას, ვისაც 15 წლის განმავლობაში კასსაში ფულის შეტანით მონაწილეობა მიუღია. ვისაც მონაწილეთაგან შრომა აღარ შეუძლიან, ამათ, სხვებთან შედარებით, უპირატესობა ექმნებათ. ამ შემთხვევაში ხუთის წლის სამსახურიც-კი უფლებას აძლევს პენსია მიიღოს. მაგრამ თუნდაც ხუთი წელიწადიც ვერ დაიმსახურონ, მაინც ნება ეძლევათ კასსაში შეტანილი ფული უკან დაიბრუნონ, თუმცა ამის უფლება სხვა მონაწილეთ არა აქვთ და კასსიდგან ფული აღარ უბრუნდებათ. ვინც სამსახურში 15 წელს დაჰყოფს, იმას წელიწადში 46 მან. ეძლევა პენსიად, ხოლო

## ფელეტონი

### მოხუცი ზაქარა

(ამბავი)

(დასასრული *)

ბევრი უბედურება დაატრიალა გლეხთა შორის მიწის გამმიჯნავის მისვლამ ამ სოფელში, თუმცა მთავრობის ხალხის ბედნიერება ჰქონდა და აქვს აზრად: ყველამ თავისას თავისი დაარქვას და დავიდარაბებს ბოლო მოეღოთო. ბევრი გლეხი გამოეთხოვა საკუთარის ოფლით მორწყულს ვენახს, ან სახნავს, რომელიც ზოგიერთა მემამულეების ხელში გადადიოდა. არც ერთს გლეხს „კანონიერი" ნასყიდობის ქაღალდი არა ჰქონდა და უბრალო ხელ-წერილებს-კი ყურს არავინ უგდებდა. ქვეყანამ იცოდა, რომ ესა-და-ეს მამული ამა და ამ გლეხის საკუთრებაო, მაგრამ ქაღალდის საბუთები არსად იყო და გადადიოდა ნაყიდი მამული ისევ გამყიდავის ხელში.

აი ეს გარემოება იყო სავალალო მოხუც ზაქარასათვის; მისი ვენახიც სწორედ ამისთანა მამულების რიგს ეკუთვნოდა. „ჩემი ნაბატონარიც რომ ღმერთს გადაუდგეს და ხელიდგან გამომაცალოს ჩემის საკუთარის ოფლით მორწყული ვენახი, რაღა იქნება ჩემი სიცოცხლე?.. ჩემის თავის დარდი არა მაქვს, მიცხოვრია, წუთი სოფელი მომიჭამია, ახლა საიქიოს გზას ვადგევარ; მალე მიწას ამოვეფარები და მოვისვენებ ამდენის უბედურებისაგან. მაგრამ ჩემს გოგლას რა ეშველება! ის ეხლა შედის ცხოვრებაში, სიცოცხლე ეხლა სწყურიან. ეს ერთად-ერთი ვენახია მთელი მისი ავლა-დიდება; ესეც რომ დაჰკარგოს, ხომ მშიერი მოკვდება. ვიდრე ჩემი დაბენძლებული თავი კიდევ ილაჰლაჰებს ქვეყნად, იმ დრომდე არა უშავს-რა, არას გავუჭირვებ. მაგრამ ჩემს შემდეგ?.."

— პაპილო, მიშველე პეპლა დავიჭირო, შემოსძახა პატარა გიგლამ, რომელიც იქვე პეპლას დასდევდა და არ იქნა, ვერ დაიჭირა.

„ვაიმე, შვილო", წამოიძახა თავისდა უნებურად ზაქარამ ამ ხმის გაგონებაზედ, ფიქრებიდგან ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულმა, და ორი კურცხალი ჩამოჰგორდა მისს დაღმეჭილს ლოყებზედ. მივიდა, აიყვანა გიგლა ხელში და ალერსი დაუწყო. შემდეგ დასვა ძირს და ერთი ნაღვლიანად გადაჰხედა. „ნეტავი შენ, პატარავ, რომ არ იცი დარდი რასა ჰქვიან! ნეტავი შენ, რომ არ გესმის, რომ იქნება ერთის საათის შემდეგ სულ ულუკმა-პუროდ დარჩე, ღვთისანაბარად მიტოვებული! ნეტავი შენ, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ სამოთხე გგონია! მოსდიოდა ზედიზედ ფიქრები ზაქარას და გულს ვეღარ იბრუნებდა, რომ პასუხი მიეცა გიგლასთვის.

— არა, შვილო, ნუ დაიჭერ, ცოდვაა, მაგასაც შენსავით სიცოცხლე სწყურიან! ნუ შეუშლი, შვილო, ხელს, დეე ეგეც იყოს ქვეყნად; ეგ უფრო ბედნიერია ჩვენზედ!! ძლივს წარმოსთქვა ზაქარამ ბოლოს.

მგრძნობიარე ბავშვმა იგრძნო პაპის ნაღვლიანი კილო, ცრემლ-მორეულის თვალებით შეხედა და იქვე ბალახებში მიჯდა გაჩუმებული. ზაქარა მთლად დადნა ამის დანახვით და თავისს თავს უსაყვედურა: „ეხლავე რად ვაგრძნობინებ ტანჯვას მაგ უბედურისშვილს, განა შემდეგში, როცა გაიზრდება, მაშინ-კი არ ეყოფა?.."

უფრო და უფრო ემატება სევდა ზაქარას... მაგრამ ხან-და-ხან რაღაც მკრთალი იმედი გაუელვებს გულში, თუმცა მჰიდროდ ფეხი ვერ მოუკიდებია მისს არსებაში. ალალ-მართალი, გულ-ახდილი, სათნოებითა და პატიოსნებით სავსე ზაქარას გული ვერ დაუჯერებია, რომ მისი ნაბატონარი, რომლისთვისაც ბევრი სიკეთე უქნია, სიკვდილისაგანაც-კი გადაურჩენია, გაიმეტებდა და ულუკმაპუროდ დასტოვებდა. „ოცი თუმანი ნაღდი ჩაუთვლია მამაჩემს ამ ალაგში და ნუ თუ იკადრებს ბატონი უარი განაცხადოს იმ მიღებულ ფულზედ. რა მიმიძღვის მასთან დანაშაული? მარტო ის თუ, რომ „კანონიერი" ნასყიდობის ქაღალდი არ დამიტოვა მამაჩემმა. მაგრამ მე და გიგლო რა შუაში ვართ"?!..

მზე კარგა მაღლა წავიდა, თითქმის მოშუადღევდა, მაგრამ ზაქარა ისევ მიდი-მოდის თავის ვენახში და სმა-ჭამისა არა ახსოვს რა, იგი ეხლა მალ-მალ გაჰხედავს ხოლმე იქით, საითაც თავადებითა და გლეხებით გარ-შემოხვეული მოჩანს მიწის გამმიჯნავი, რომელიც რიგზედ მოსდევს მამულებს და ნელ ნელა უახლოვდება მისს ვენახს. რავდენადაც ხალხის გროვა წინ წამოიწევს, იმდენად მღელვარება ემატება ზაქარას

*) იხ. „ივერია" № 173.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც 35 წელს, იმას 262 მან. დავადმყოფებულთა და დაუძლურებულთა-კი, რომელთაც მუშაობა აღარ შეუძლიანთ, 64 მანეთიდგან 275 მანეთამდე ეძლევათ.

*** როგორც ქუთაისიდგან იუწყებიან, სოფ. ზუმბუას-ხევის (სენაკის მაზრაშია) საზოგადოებას განაჩენი დაუდგენია, რომ ხუთშაბათობით ვაჭრობა გაიმართოს ხოლმე.

*** „კანონდებულებათა კრებულში“ გამოცხადებულია „წესები არაყის გამოხდის შესახებ“, რომელიც 1901 წლის 1 მაისიდგან უნდა იქმნას შემოღებული და რომელსაც ძალა ექმნება იმ ადგილებშიაც, სადაც არაყს ჭაჭისა და სხვა ხილისას ჰხდიან, სახელდობრ: კავკასიის მხარეში, სტავროპოლსა, ბესსარაბიასა, ტავრიდისა და ხერსონის გუბერნიაში და სირიდარიისა, ფერგანისა და სამარყანდის ოლქებში. ამ წესებით, სხვათა შორის, ყირიმის ნახევარ-კუნძულზედ და ართვინისა და ბათუმის ოლქებში, ქ. ბათუმს გარდა, ნება დართულია არაყის ხდა განსაკუთრებულ „მევენახეთა პატენტებით“, ჩვეულებრივ პატენტისა და მოწმობის აუღებლად. ამასთანავე თუ სპირტი გამოხდილ იქმნა საკუთარისა ანუ იჯარით აღებულ ვენახისა და ბაღის ხილისა და ჭაჭისაგან და მფლობელნი წარადგენენ მოწმობას, რომ მეღვინეობას მისდევენ, სპირტი შეუძლიანთ გაჰყიდონ აქციზის გარდაუხდელად; ხოლო თუ სპირტი ამ ადგილებიდგან სხვაგან გაიტანეს, მაშინ აქციზი საზოგადო წესისამებრ უნდა გარდაიხადონ.

*** როგორც ქუთაისიდგან იწერებიან, განმეორებითი, დამატებითი და აგრეთვე მისაღები გამოცდა, მოსამზადებელ კლასებს გარდა, ყველა კლასებში თურმე 19 აგვისტოდგან დაიწყება. პირველს კლასში მისაღები გამოცდა 17 აგვისტოსათვის არის დანიშნული.

*** თელავის მაზრის უფროსის შუამდგომლობისა თანახმად, ტფილისის საგუბერნიო მთავრობას მთელი მაზრის სოფლის საზოგადოებანი 13-მდე შეუმოკლებია. ამათგან რვა სოფლის საზოგადოება: ოქროსი, რუის-პირისა, ქისის ხევისა, კარდალინასი, კურდღელაურისა, წინანდლისა, ვაჩნაძიანისა და ურიათ უბნისა წინანდლის საბოქაულოშია, ხოლო დანარჩენი 5: ძველი-გავაზისა, ყვარელისა, შილდისა, ენისელისა და ნაფარეულისა—ყვარლის საბოქაულოში.

*** როგორც ისმის, რუსეთის რკინის გზების საპენსიო თანხით, სათანადო მთავრობის განკარგულებით, უნდა აშენდეს სახლები, რომლებიც ქირით მიეცემათ რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშებს, ისე-კი, რომ დახარჯულმა ფულმა 5% წმინდა სარგებელი მისცეს. ეხლა რკინის გზების საპენსიო კასსის თანხა 13 მილიონ მანეთამდეა.

*** როგორც სატახტო გაზეთებს გაუგონიათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს ცვლილება მოახდინოს სამოქალაქო პოლიციის ეხლანდელს ორგანიზაციაში. ამ აზრით სამინისტრო ცნობების შეკრებას შეუდგა ეხლანდელ პოლიციის ნაკლულევანებათა შესახებ. სხვათა შორის, განზრახვა აქვთ გაანთავისუფლონ ერობები და ქალაქები საპოლიციო ხარჯისაგან და პოლიციის მოხელეებს ჯამაგირები მოუმატონ.

*** უმაღლესი ბრძანება ოზურგეთის დროებით განთავისუფლების შესახებ საპოლიციო ხარჯის გაღებისაგან: „ქ. ოზურგეთი 1899 წლის პირველ იანვრიდგან ოთხის წლით განთავისუფლებულია საპოლიციო ხარჯიდგან, რომელიც წლიურად შეადგენდა რვაას ორმოცდა ხუთ მანეთს.

ეპატიოს ქ. ოზურგეთს მთელი ის შეუტანელი საპოლიციო გარდასახადი, რომელიც მას დაედო 1898 წლის პირველ იანვრამდე.

მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მან, ფინანსთა სამინისტროსთან მოლაპარაკების შემდეგ, ხელ-ახლად განიხილოს ქ. ოზურგეთის საპოლიციო ხარჯში მონაწილეობის მიღების საქმე და თავისი აზრი წარმოუდგინოს სახელმწიფო საბჭოს დროზედ, რათა მისი გადაწყვეტა 1903 წლის დაწყებამდე მოესწროს“.

*** ქალაქის გამგეობამ თავისს უკანასკნელ სხდომაზედ განიხილა მოხსენება გამგეობის წევრის ბ ნ მ. ს. შესტაკოვისა ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებლებზედ სათადარიგო თანხის სასარგებლოდ დარჩენილ შემოსატან გარდასახადის შესახებ, რომელიც ამ ჟამად სულ 5372 მანეთამდე თურმეა, და დაადგინა, რომ ვინც დღეიდგან ერთის თვის განმავლობაში მოხსენებულ თანხის სასარგებლოდ დარჩენილს გარდასახადს არ შემოიტანს ქალაქის კასსაში, საჩივარი იქმნეს აღძრული მათზედ სასამართლოშიო.

*** ხუთშაბათს ქალაქის გამგეობას ტფილისის მიწის-მზომელთა სასწავლებლის უფროსმა ბ-ნმა კაზაკევიჩმა წარუდგინა განცხადება, რომელშიაც ამბობს რა, რომ გამგეობის სააღმშენებლო განყოფილების განკარგულებით შეჩერებულ იქმნა ჩემდამო რწმუნებულ სასწავლებლის შენობის აგება პოლიციის პირველს ნაწილში პ. მაკაროვის მიწაზედ, სთხოვს გამგეობას ნება დართოს განაგრძოს მუშაობა; აგრეთვე ნება დართოს პ. მაკაროვს სასწავლებლის შენობის საჭიროებისათვის პროექტიროვანი ქუჩის ერთი ნაწილი სასწავლებლის მიწას მიუმატოს, რადგანაც ეს ქუჩა არავისთვის საჭირო არაა და სულაც რომ დაიკეტოს, დიდი დანაკლისი არ იქმნებაო. როდესაც გამგეობამ განიხილა და შეადარა ამ შენობის პროექტი მაკაროვის მიწის გეგმას, დამტკიცებულს საბჭოსაგან 1898 წ. 11 მაისს, და აგრეთვე ვერის 1 ნაწილის გასაწესრიგებელ გეგმას, აღმოჩნდა, რომ პ. მაკაროვს დასახელებულ ქუჩისა უკვე კარგა დიდი ნაწილი მოუხმარებია შენობისათვის, ასე რომ პროექტიროვანი ქუჩა 5 საჟენის ნაცვლად 3 საჟენი გამხდარა. ქალაქის გამგეობამ, განიხილა რა ბ ნ კაზაკევიჩის მოხსენება და აგრეთვე ქალაქის ინჟინრის თანამდებობის აღმასრულებელის ბ-ნ მელიქბეგლიაროვისა და არხიტექტორის შახნაზაროვის ამ საქმის შესახები მოხსენებანი, დაადგინა: 1) მოხსენდეს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ პ. მაკაროვს თვისი შენობით მიუსაკუთრებია ერთი ნაწილი პროექტიროვანის ქუჩისა და რომ გუბერნიის სამართველოს სააღმშენებლო განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმა მაკაროვის მიწისა არ შეესაბამება სინამდვილეს; 2) უარი გამოეცხადოს ბ.ნს კაზაკევიჩს მის შუამდგომლობაზედ და ნება არ მიეცეს პ. მაკაროვს შენობის დასამთავრებლად მუშაობის განგრძობისა; და 3) შეეკითხონ საგუბერნიო სამმართველოს სააღმშენებლო განყოფილებას, რა საფუძვლით დაამტკიცა მან კერძო კაცის მაკაროვის შენობის პროექტი და იგი არ გაუგზავნა ქალაქის გამგეობას განსახილველად.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამართვა 1901 წელს, გადასწყვიტა გამოფენა ალექსანდრეს ბაღში გამართოს. კომისიამ სამშაბათს, 8 აგვისტოს, დაადგინა მოიწვიოს ქალაქის ტეხნიკოსები და იმათ შემწეობით გამოიკვლიოს, დაეტევა თუ არა გამოფენა ხსენებულ ბაღში, ხოლო თუ დაეტევა, რომელი განყოფილება სად უნდა მოთავსდეს. კომისიამ აგრეთვე დაამტკიცა 1889 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პროგრამმა და თითო ცალი გაუგზავნა სპეციალისტებს, რათა გამოფენის ყველა განყოფილებაში საჭირო ცვლილებანი იქმნას შეტანილი.

*** სოფელ ფხვენისიდგან (გორის მაზრა) იწერებიან, რომ როგორც იქ, ისე მეზობელ სოფლებშიაც (შინდისში, ზემონიქოზში) საშინლად მძვინვარებს საქონლის ჭირი. ამ საშინელს სენს თავი კარგა ხანია უჩენია, მაგრამ საბრალო შეუგნებელი გლეხები მალავდენ თურმე, რადგანაც ბეითალებისა და პოლიციელებისა ეშინოდათ. შუბი ხალთაში არ დაიმალებაო, და აკი არც ჭირი დარჩა დაფარული. ეხლა აქ მეითლები მოვიდნენ და ჭირის არსებობა ოფიციალურად გამოცხადებულია. ჭირიან საქონელს ჰხოცავენ და ლიახვის ახლო მიწაში ჰფლავენ. მოკლული საქონლისათვის გლეხს ფულს აძლევენ, მაგრამ იგი მაინც ავადმყოფ საქონლის დამალვასა ჰრჩეობს, მიუხედავად იმისა, რომ მას ამისთვის ჯარიმა მოელის და დახოცილ საქონელშიაც არაფერს მისცემენ. საჭიროა, ბეითალები „ჩინოვნიკურად“ არ მოეპყრნენ საქმესა და გლეხებს გულმტკივნეულობით და თანაგრძნობით შეაგონონ მათი ამგვარი მოქმედების უგუნურობა. ეს კი იმისთანა ბეითლებს შეუძლიანთ, რომელნიც ადგილობრივ მცხოვრებლებსა და მათს ხასიათსა და ენას იცნობენო. („ცნ. ფურც.“).

*** როგორც თელავიდგან გვატყობინებენ, ამ ჟამად იქ თურმე იმყოფებიან ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილი და ქ-ნი ვლადიმიროვისა. საზოგადოება მოუთმენლად მოელის ამათს წარმოდგენასაო.

*** სოფელ ყვარელიდგანა (თელავის მაზრა) სწერენ „ცნობის ფურცელ“-ს: პურის მოსავალი მოსალოდნელზედ ცუდი შეიქმნა ხშირის წვიმებისა გამო, მაგრამ მაინც იგი საშუალოზე უკეთესიაო. სამაგიეროდ ვაზი მეტად დაზიანდა სხვა-და-სხვა ავადმყოფობისა გამო და მოსავალსაც ნაკლებს მოელიან. ხშირის წვიმების გამო ისე მოედო ბალახი ვენახებს, რომ გლეხს სამჯერ-ოთხჯერ სჭირდება მათი გამოთოხნა და ვერ ახერხებს-კი, რადგან ჯერ პური არ გაულეწნია. ამიტომაც არის, რომ აქეთკენ დღიური მუშის ქირამ მეტად აიწიაო.

*** სოფ. მახჩისკამთა (კავკავის მაზრა). ოც-და-ოთხს მკათათვეს, საღამოთი, შვიდ საათზედ, აქ ძრიელი მიწის ძვრა მოხდა. შეშინებული ხალხი მინდვრად გარბოდა. ზოგან ქვის სახლები გაირღვა, თუმცა ზარალი არა მოუტანია-რა. მიწის ძვრა იყო აგრეთვე სტირ-დიგორისა და გალიათის საზოგადოებაში.

*** ლეჩხუმი. წელს ლეჩხუმში მეცხელება ძლიერ მძვინვარებს. თითქმის მცირედ მოიპოვება ისეთი სოფელი, სადაც რამდენსამე მოსახლეს მაინც არ ჰყავდეს ამ სენით ავადმყოფი და ზოგიერთი იმსხვერპლა. წითელაც ხშირია აქაო.

ჩვენში პურის მკა უკვე გათავდა და ლეწვა დაიწყეს. ხალხი კმაყოფილია კარგის მოსავლისა. სიმინდებსა და ბოსტნებსაც კარგი პირი უჩანს, ვენახები ვერაფერს იმედს იძლევა, უფრო კი იქ, სადაც არ უწამლიათ.

*** სოფ. ნებითი-ქრისტიანი (კავკავის მაზრა). ოც-და-სამს ივლისს ამ სოფლის ეკკლესიაში, ამავე ეკკლესიის კრებულის თხოვნით მოწვეული და მწირველი ბრძანდებოდა ალდონის სამისიონერო სემინარიის რექტორი მამა არხიმანდრიტი დიმიტრი (აბაშიძე) ამავე ეკკლესიის მღვდლების თანა-მწირვე-

---

და გული ძაგი-ძუგს უმატებს...

აგერ მოვიდნენ კიდეც და მიწის გასამიჯნავი მანქანა დადგეს ზაქარას ვენახის ერთს კუნჭულში. „ღმერთო, შენ მომხედე!“ ხმის კანკალით წაილუღლუღა ზაქარამ და თითქმის ბარბაცით გასწია იქითკენ.

— ვისია ეს ვენახი? იკითხა.

მღელვარებით ზაქარას თითქმის თვალებში ბინდმა გადაჰკრა და წაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და შეშინებულის, უიმედო სახით გადაჰხედა ბატონს.

— ჩემია... დაიწყო მან, მაგრამ მალე ხმა ჩაუწყდა, როდესაც გაიგონა ბატონის სიტყვები.

— ჩემი გახლავთ, დამშვიდებით წარმოსთქვა თავადიშვილმა ისეთის კილოთი, თითქო დაურღვეველს, ცხადს ჭეშმარიტებას ჰქადაგებსო. თან გაღიმებით თვალი ჩაუკრა მიწის-გამმიჯვნელს.

ზაქარას თვალთ დაუბნელდა, გონება აერია; თითქო თავში ჩაქუჩებსა სცემენო, ისე დაჰკრა სისხლმა.

მაგრამ მაინც ესმოდა, რაც მის ახლო ხდებოდა.

მიწის-გამმიჯნავმა ზაქარას ჰკითხა:

— შენ, მგონი, დავას აცხადებ?

— ჩემია... მხოლოდ წამოილუღლუღა ზაქარამ და იმედის ნაპერწკალმა გაუელვა.

ამ დროს იმას რამდენიმე კაცი, თავადიშვილის „ერთგულნი“, აეტუზა გვერდით და ერთმა წასჩურჩულა:

— მიეცი, კაცო, ოციოდე თუმანი და ამოდენა ზვარი შენ დაგრჩება.

ზაქარამ ჯერ თითქმის ვერ გაიგო ამ სიტყვების აზრი, ისე მოულოდნელი იყო ეს სიტყვები. ბოლოს ისეთი გაკვირვებით შეხედა მთქმელს რომ იმანაც-კი თავი ჩაღუნა. „როგორ“? გაურბინა ფიქრში ზაქარას: „ისე გაიყვანა ქვეყანა, რომ ერთხელ ნაყიდი მეორედ ვიყიდო?.. ეგენი თუ სჩადიან ამას, მე მაინც არ ვიკადრებ, უსამართლობის სალხარი არ გავხდები. ან რა მაბადია, რასა მთხოვენ?“

— ოციოდე თუმანი? გაკვირვებით წამოიძახა მან, რომლისთვისაც ოცი თუმანი მიუწვდომელი სიმდიდრე იყო.

ეს ორი სიტყვა ისეთის სიძლიერით იყო ამოთქმული გრძნობით ავსილის გულიდგან, რომ საკმარი იყო შეეწყვიტა ამ საგანზედ ბაასი. „შუაკაცები“ კუდ-ამოძუებულნი წავიდნენ თავადიშვილისკენ ამბის მისატანად; მაგრამ მან უკვე იცოდა ყველაფერი, რადგანაც გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა მათს მოქმედებას, თუმცა ხალხს თავს აჩვენებდა, არა ვიცი რაო. მას მამული ისე არ ეპიტნავებოდა, როგორც ნაღდი ოცი თუმანი, რომლითაც შეეძლო კარგი დრო გაეტარებინა. ვენახს-კი მოვლა უნდოდა, შრომა, ზრუნვა და ესენი-კი სასიამოვნო არ იყო მისთვის.

მიწის-გამმიჯნავი, ამისთანა სცენებს მიჩვეული, ხან აქეთ გახედავდა დურბინდს, ხან იქით; როდესაც მიხვდა, ყოველივე გათავდაო, თავი აიღო და წარმოსთქვა:

— მაშ საღამოდ დავსწერ.

ზაქარას გულში ისევ გაიელვა იმედმა, მაგრამ მალე ჩაჰქრა, რაკი გაიგონა რიხიანი და გაჯავრებული ხმა თავადიშვილისა.

— ვისაც დავა უნდა, რამე „კანონიერი“ საბუთი წამოაყენოს; თუ არა ეს ვენახი მამა-პაპიდგან დარჩენილია, ჩვენია. აბა, მიბრძანეთ, ჩემს მიჯნებს შუა ვის რა საქმე აქვს?

აქ კი მთლად დაიბნა ზაქარა. უნდოდა ეთქვა ბევრი რამ, რომ ეს ვენახი მამიჩემის ნაყიდიაო, რომ აგერ რავდენი ხანია რაც ჩვენ ვხმარობთ, ჩემი ჯანი შიგ ჩამილევიაო, მაგრამ სიტყვა პირში უწყდებოდა მღელვარებისაგან და ვერას ახერხებდა. დიდხანს იდგა ერთ ალაგს თავს ბრუ დახვეული, გაშტერებული, უაზროდ, უსიტყვოდ. როცა გონს მოვიდა, გაიხედა იქით, სადაც ცოტა ხნის წინ მიწის გამმიჯნავი მუშაობდა, მაგრამ იქ აღარავინ იყო. იგი სხვა მამულების გაზომ-გამიჯვნას შეუდგა, რადგან „ზაქარას ვენახის საქმე ცხადად გამოარკვია“.

— გათავდა!!!.. სასოწარკვეთილებით წამოიძახა მან ბოლოს და გიგლას გადაჰხედა. მაგრამ ეს სასოწარკვეთილება წუთიერი იყო და ზაქარა ისევ ძველებურ ზაქარად გარდაიქცა. ღმერთია მოწყალე! მტკიცედ წამოიძახა მან.

ამ სიტყვებთან ერთად, გამხნევებულმა აიტაცა ხელში თავისი საყვარელი გიგლა და უსახლ-კაროდ, ულუკმა-პუროდ, სხვის ხელში შემაყურებლად დარჩენილმა, მტკიცე ნაბიჯით გასწია... ვინ იცის საით... რა ვუყოთ, ყოველ ცხოვრების წყაროს მოკლებულმა, თავისს მარჯვენის და ჯანის გარდა, ამით მაინც ეცხოვრა. წავა, ამ ჯანს სხვისთვის ამუშავებს, სხვის საქმეს შეალევს თავისს სიცოცხლეს, როგორც აქამდისაც სხვისთვის იმაგა და ვენახი გააკეთა, და იმდენი ხომ ერგება, რომ ისულდგმულოს...

ბასილ

ლობით. სოფლის მცხოვრებთ რომ გაიგეს მამა რექტორი მწირველიაო, ერთი ორად მეტი ხალხი შეიკრიბა ეკკლესიაში. წირვის შემდეგ მამა რექტორმა გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომლის გამოც ხალხი დიდად მადლობელი დარჩა და შემდეგ ღვთის მშობლის დაუჯდომელი პარაკლისი გარდაიხადა.

*** ს. პერევისა (შორაპნის მაზრა). 20 ივლისს ბ. ა. ხაბულიანის მეცადინეობით აქაურს სკოლაში გაიმართა ქართული წარმოდგენა. დასდგეს „თინბაზი“, „ადამ და ევა“ და „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“. ბ. ხაბულიანს გარდა მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნი ბ. გ. გალუსტოვი, იმისი და ქ-ნი გალუსტოვისა და გამცემლიძისა. ეს უკანასკნელნი ბ. ა. ხაბულიანმა ამოიყვანა ჭიათურიდგან. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა, მაგრამ ცუდის ამინდის გამო ხალხი ბლომად ვერ დაესწრო. შემოსავლის ერთი ნაწილი აქაურის სკოლის სასარგებლოდ იყო დანიშნული, მაგრამ უკვე აღნიშნულ დამსწრეთა სიცოტავის გამო იმედი არ გაგვიმართლდა. წელს აქეთ მოსავალს კარგი პირი უჩანს; წვიმები ყოველთვის თავ-თავის დროზედა ჰქონდა, რაიცა სხვა დროს მეტად იშვიათია ხოლმე.

*** ოთხშაბათს, 9 აგვისტოს, ქვრივმა ეფემია ბარსეგოვისამ განაცხადა პოლიციაში, რომ ჩემი სახლიდგან დრო გამოშვებით მოიპარეს ფული და და ვერცხლისა და ოქროს სხვა და სხვა ნივთები სულ 500 მანეთისა, პოლიციამ უკვე აღმოაჩინა ქურდები: ანნა ნაბადაძისა და პაშიკოვისა, რომელნიც ბარსეგოვის ეზოშივე სცხოვრობდნენ.

## ჭიათურის შავიქვის მრეწველთა მესამე მორიგი კრება.

29 ივლისი, საღამო.

მდივანი კრებისა კითხულობს წინა დღის ოქმს, რომელსაც კრება მცირედის ცვლილებით ამტკიცებს. საკამათო საგნად თავმჯდომარე აცხადებს პროგრამმის მე-8 მუხლს, ე. ი. „ტეხნიკურ კომიტეტის დაწესება შავი ქვის მადნების დასაცავად“.

ზდანოვიჩი გ. ფ. უნდა მოგახსენოთ, რომ საბჭოს ამ საგნის შესახებ ჯერ გარკვეული შეხედულობა არ შეუდგენია. ჩემის აზრით, ამ საკითხს კავშირი აქვს მე-7 მუხლთან, ე. ი. გარემოებასთან, თუ რა წესი და რიგი უნდა იქმნას შემოღებული შავი-ქვის ხარისხ-ხარისხად დაყოფისათვის, რომ შავი-ქვის გასაღება რიგიანად სწარმოებდეს. რამდენადაც მე ვიცი, მრეწველთა ერთი ნაწილი საჭიროდ არა სთვლის მადნის კარგად დაწმენდას, რადგან ვითომც დაუწმენდელი მადანი უფრო მეტს მოგებას იძლეოდეს. ამიტომაც საჭიროდ მიმაჩნია კრებამ ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვას და, თუ მადნის დაწმენდისათვის საჭირო იქნება წესების შედგენა, ეს საქმე საბჭოს მიანდოს.

თ. ი. ნიჟარაძე. თუ კრება პროგრამის მე-19 მუხლს ისე გარდასწყვეტს, რომ ბაქნები განაწილებული იქმნება როგორც მსხვილ მრეწველთა შორის, ისე წვრილთა შორის, საწინააღმდეგო არავისერა ექნება სათქმელი, რომ მადანი ხარისხებად დაიყოს. ამიტომ, გირჩევთ ეს საკითხი მაშინ, გარდავწყვიტოთ, როცა მე-19 მუხლის გარჩევას შევუდგებით. კრება დაეთანხმა თ. ნიჟარაძეს.

შემდეგ კრებამ მე-8 მუხლის განხილვა დაიწყო.

ქვარიანი ს. ა. ჭიათურაში დიდძალი შავი-ქვაა, სივრცით იმას უჭირავს 126 ოთხ-კუთხი ვერსი და თითქმის თუთხმეტ მილიარდ ფუთ მადანს შეიცავს. ეს დიდებული სიმდიდრე არ გამოვლევა სამას ოთხას წლამდის, თუ სიფრთხილით და დაზოგვით მოვეკიდებით; მაგრამ, თუ არ დავზოგავთ, მტრულად და უკონინაროდ მოვეკიდებით, იქნება 50—60 წელსაც ვერ გაგვიძლოს. იქნება ამისთანა უხეირო დამუშავებით ზოგიერთმა მრეწველმა მოგებაცა ნახოს, მაგრამ ეს მოგება ხანგრძლივი არ იქნება. მე საჭიროდ მიმაჩნია ტეხნიკურის კომიტეტის დაარსება, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს შავი-ქვის რიგზედ წარმოებას.

თ. პ. გ. წულუკიძე. მე მინდა გავიგო, რა მიზანი ექნება ამ კომიტეტის დაარსებას, კომიტეტმა რას უნდა ადევნოს თვალ-ყური: შავი-ქვის წარმოების გაუმჯობესობას, თუ თვითონ შავი-ქვის მადნის თვისების გაუმჯობესობას ეცადოს?

ქვარიანი ს. ა. კომიტეტს ორივე მიზანი უნდა ჰქონდეს სახეში, რადგან მადნის წარმოებას ამ მხრივ ყურადღება აკლია, მაღანი ხშირად ზვავდება და ინგრევა.

ცერეთელი ა. გ. მართალია ხშირად ზვავდება, მაგრამ ეს გარემოება მადნების პატრონთა უყურადღებობითა ხდება. ჭიათურაში შავი ქვის წარმოებას მისდევს ყველა: მდიდარიც, ღარიბიც, მცოდნეცა და უმეცარიც. მეც საჭიროდ მიმაჩნია ტეხნიკური კომიტეტის დაარსება, მაგრამ ამას გარდა მადნების საზოგადო გეგმის შედგენაც საჭიროა.

თ. პ. გ. წულუკიძე. ამისთანა გეგმის შედგენა საბჭოს გარდაწყვეტილი აქვს. ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს წმინდა მადნის გატანა საქვეყნო ბაზარზედ. ჩვენი მეცადინეობა მიმართული უნდა იყოს უფრო მადნის თვისების გაუმჯობესობაზე. ნუ დავივიწყებთ, ბატონებო, იმ გარემოებას, რომ ამერიკა ჩვენს მადანს აღარ თხოულობს, ნურც იმას, რომ ინდოეთში, ბრაზილიაში და სხვა ქვეყნებში აღმოჩენილა დიდძალი შავი-ქვა, რომ ინდოეთის შავი ქვა ინგლისში გაუსინჯიათ და იგი საუცხოვო თვისებისა გამომდგარა; თუ ყველა ამ გარემოებას სახეში ვიქონიებთ, ჩვენს შავ-ქვას სერიოზული დაბრკოლება შეხვდება საქვეყნო ბაზარზედ, ამიტომაც საჭიროა ეხლავე ვეცადნეთ მადნის თვისების გაუმჯობესობას, თორემ მერე გვიან-ღა იქნება.

თავმჯდომარე. ტეხნიკური კომიტეტი დამწუნებელი (браковочный) კომიტეტი ხომ არ არის, რომ თვალ-ყური ადევნოს იმას, თუ ვინ როგორ აწარმოებს მადანს; ის მხოლოდ სახელმძღვანელო წესებს ადგენს მადნის საწარმოებლად.

აბაშიძე ა. თუ წვრილი მწარმოებელი პლატფორმას მიიღებს, მაშინ ამ საქმის მდგომარეობა გამოიცვლება და ყველა ეცდება, თვისება მადნისა გააუმჯობესოს. თ. წულუკიძე მდიდარი მწარმოებელია: იგი ჰყიდის ფუთ მადანს 8—12 კაპ., ჩვენ-კი, წვრილი მწარმოებელნი, იძულებულნი ვართ 5 კაპეიკად გავყიდოთ.

თავმჯდომარე. თქვენი ლაპარაკი საქმეს არ შეეხება. ჩვენ ტეხნიკურ კომიტეტის დაარსებაზედ ვლაპარაკობთ.

აბაშიძე ა. მადნის თვისების გაუმჯობესობას დიდი ხარჯი მოსდევს; ჩვენ ამის გაწევა არ შეგვიძლიან. თუ ჩვენ ვალდებული გაგვხადეს, რომ დაწმენდილი მადანი ვაწარმოვოთ, იძულებულნი ვიქნებით ყველამ თავი დავანებოთ საქმეს ჭიათურაში; ბურთი და მოედანი მაშინ მარტო მსხვილ მწარმოებელთ დაჰრჩებათ.

ემერიკ გ. გ. მადნები ზვავდება იმიტომ, რომ ჭიათურაში მადანს ურევია კირი, რომელიც ხელს უწყობს ამ მადნის ჩამოშლას არა მარტო ხვრელის გამოსავალში, არამედ მთელს სიგრძეზედაც.

მოდებაძე კარპე. ტეხნიკურის კომიტეტის დაარსება სრულებითაც საჭირო არ არის. მადნის გარჩევა, რომელი კარგია და რომელი ცუდი, ბალღმაც-კი იცის. თუ ვისთვისმე სპეციალისტი საჭიროა, თვითონ რაიქირავოს ეს სპეციალისტი და, თუ ერთს არ შეუძლიან მისი დაქირავება,—რამდენიმე მრეწველი შეერთდეს და ისე დაიქირავონ.

უგარეჩკი პ. პ. მინდა გავიგო, ამ ტეხნიკურის კომიტეტის დადგენილება ყველასათვის სავალდებულო იქნება, თუ არა?

თავმჯდომარე. არა, სავალდებულო არ იქნება; მე წეღანაცა ვსთქვი, რა ხასიათისაა ეს დაწესებულება.

ბაქრაძე კ. დ. მე-7 და 8 საკითხი ერთი და იგივე როდია, მალე გამოვა კანონი, რომელიც ვალდებულს გახდის ყოველს მრეწველს სპეციალისტი იყოლიოს. მე ამის გამო აქ კომიტეტის დაარსებაზედ კამათი უადგილოდ მიმაჩნია.

ემერიკ. გ. გ. სანამ კარგად არ გავიგებთ, რა მიზანი ექნება ამ კომიტეტს, რა ღონისძიება, რა უფლება ან რა ვალდებულება, მანამდის ამაზედ ლაპარაკი ტყუილად მოცდენა და დროს დაკარგვა იქნება.

თ. ი. ნიჟარაძე სთხოვს საბჭოს თავმჯდომარეს, აუხსნას კრებას, რაში მდგომარეობს ამ კომიტეტის დანიშნულება.

თავმჯდომარე. კარგი იქნება კრება გაეცნოს ბაქოს ნავთის მრეწველთა ტეხნიკურ კომიტეტის ინსტრუქციას თუ ისურვებს.

თავმჯდომარე. ვისის თაოსნობით არის ეს საკითხი პროგრამაში შეტანილი?

ზდანოვიჩი გ. ფ. იგი საბჭოს თაოსნობით არის შეტანილი. მაგრამ, უნდა გამოვტყდე, რომ მე არ მიმიღია მონაწილეობა ამ საგნის განხილვაში. ჩემის ფიქრით, ამ კომიტეტს იგივე დანიშნულება უნდა ჰქონდეს, რაც ბაქოს კომიტეტსა ჰქონებია.

ტეხნიკური კომიტეტის დაარსება უმრავლესობამ უარ ჰყო.

კრებამ დაიწყო პროგრამმის მე-17 მუხლის განხილვა, ე. ი. „$^1/_2$ კაპ. მაგიერ $^3/_4$ კაპ. გარდასახადის დადვენა და ამ გარდასახადის გავრცელება იმ ქვაზედაც, რომელსაც ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურებიდგან ეზიდებიან, ხოლო რომელიც ამ სადგურებზედ მოაქვთ ჭიათურის რკინის გზით-კი არა, არამედ ურმებითა და ცხენებით“. ამ ვრცელის მოხსენებიდგან ცხადად სჩანდა ის გარემოება, რომ ყვირილის სადგურიდგან ყოველს წელს მიდის საზღვარ გარედ ხუთ მილიონ ფუთზედ მეტი შავი-ქვა, რომლიდგანაც კრებას არავითარი შემოსავალი არა აქვს. ამ ერთ მეოთხედ კაპეიკს ფუთზედ იმის გამო ვუმატებთ, რომ შავი-ქვის მწარმოებლებს ძლიან ბევრი საჭიროება აქვთ, რომ საქმე უფრო უმჯობესად მოაწყონ. ეხლანდელი შემოსავალი ამ საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს; ამიტომაც საჭიროა აწ არსებულს გარდასახადს ფუთზედ კიდევ ერთი მეოთხედი კაპეიკისა მოემატოს.

წულუკიძე თ. პ. გ. გვაცნობეთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, ვისი სახელით არის ეგ მოხსენება წარმოდგენილი?

ზდანოვიჩი გ. ფ. როცა ამ საგნის შესახებ საბჭოს კამათი ჰქონდა, მე მხვდა ხმის უმცირესობა, ამიტომ მოხსენებას ჩემის სახელით წარმოვადგენ კრებაში.

ემერიკმა გ. გ. თავისს გრძელს პასუხში ის აზრი გაატარა, რომ აწ არსებული გარდასახადი, ფუთ შავქვაზედ ნახევარი კაპეიკი, სრულიად საკმაოა. ამ გარდასახადიდგან კრების წლიური შემოსავალი 150,000 მანეთამდის აღის, და, რადგან მოთხოვნილება შავი-ქვისა წლითი-წლობით უფრო და უფრო იზრდება და მალე იგი წლიურად 1,000,000 ტონნამდის ავა, ამის გამო ყოველ წლიურს ჩვენს შემოსავალს მოემატება კიდევ 30,000 მანეთი. უმჯობესიაო, სთქვა ორატორმა, ვეცადნეთ მეტი მადანი გავიტანოთ საქვეყნო ბაზარზედ და შემოსავალიც მეტი გვექნებაო. ნუ დავივიწყებთ იმ გარემოებასაც, რომ ბევრს ჩვენგანს რამდენისამე წლით პირობა აქვს შეკრული საზღვარ-გარედ მცხოვრებ ვაჭრებთან, რომ მადანს გაუგზავნის გადაჭრილ ფასად. ამისთანა პირობის შემკვრელმა, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ ჩვენ გარდასახადს გავადიდებდით.

მე ვფიქრობ, რომ აწ არსებული შემოსავალი საკმარისია ხარჯების დასაფარავად. თუ ეს შემოსავალი არა გვყოფნის ხარჯების დასაფარავად, გონივრული ეკონომია ითხოვს, რომ ხარჯები შევამციროთ. ეჭვი არაა, კრებაში ბევრი იმ აზრისაა, რომ ეს ხარჯი დააწვება მარტო ექსპორტერებს, ხოლო ამ ხარჯის ნაყოფით ისარგებლებენ წვრილი მწარმოებელნი. მაგრამ გაფრთხილებთ, ეს ხარჯი არ გადიქცეს ისეთ ჯოხად, რომლის ერთი წვერი ჩაურაკუნებს მსხვილ მწარმოებელს, ხოლო მეორე მოჰხვდება წვრილ მწარმოებელს. ამიტომ მე გირჩევთ, აწ არსებულს ხარჯს ნუ მოუმატებთ კაპეიკის მეოთხედს. იგი თქვენს ჯიბეს უფრო გაათხელებს.

თ. წულუკიძე პ. გ. ჩვენი შავიქვა სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ფასად იყიდებოდა: ფუთი იყიდებოდა ზოგჯერ 60 კაპეიკად, 40 კაპ., 27 კაპ. ეხლა ღირს ევროპაში გადატანით 37 კაპეიკად. რა ვიცით, რომ მომავალში ეს ფასი კიდევ არ დაიწევს. ჩვენი ექსპორტერები ჯერ ისე ზურგ გამაგრებულნი არ არიან, რომ ფუთზედ მეოთხედი კაპეიკისა გარდასახადი მოემატოს. მე შემცირების თხოვნა მინდოდა წარმომედგინა, და, წინააღმდეგ ამისა, გვიმატებენ? ამ საგანს კარგი დაკვირვება და დაწვრილებითი შესწავლა უნდა; ნუ ავჩქარდებით, აჩქარებით საქმეს წავახდენთ.

ცერეთელი ა. გ. ახლა შავი-ქვის მდანი აღმოჩენილია ყარსის ოლქშიაც. იქ უკვე მუშაობა დაწყებულია და მალე დაიწყებენ რკინის გზით ზიდვას. წეღანდელ ჩვენის გადაწყვეტილებიდგან, რომ იმ შავქვასაც დაედვას გარდასახადი, რომელიც არა მარტო ჭიათურის რკინის გზით იზიდება, არამედ სხვა გზითაცაო, გამოდის, რომ ყარსის შავქვასაცა ვდებთ გარდასახადს.

ზდანოვიჩი გ. ფ. არა, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის შავი-ქვა, რომელიც ჭიათურიდგან მოდის ყვირილაში ურმებით, ცხენებითა და სხვა საშუალებით.

ჭასკველდი ი. რა ჩვენი ბრალია, რომ ზოგიერთ ექსპორტერს დიდი ხნის პირობა შეუკრავს საზღვარ გარედ ვაჭრებთან. დიდრონი ექსპორტერები, რასაკვირველია, ეცდებიან მეტი მოგება ნახონ. ისინი სრულებით ყურადღებას არ აქცევენ, რომ წვრილი მრეწველები და მუშა ხალხი იღუპებიან და მათი ნაშრომნაღვაწი მდიდარ მრეწველთა ჯიბეს ასქელებს. ამ მეოთხედ კაპეიკის მომატება არავისთვის სამძიმო არ იქნება, ტყუილად დრტვინავენ ბ-ნნი ექსპორტერები. საჭიროდ მიმაჩნია ეს გარდასახადი $^3/_4$-ამდე ავიდეს.

ემერიკ გ. გ. ლამაზ-ფრაზებით ფინანსიურის კითხვების გარდაწყვეტა არ შეიძლება. თუ საქმის წაყვანა გონივრულათ გვინდა, უნდა მივაქციოთ ყურადღება, რის შეძლების პატრონები ვართ და შეძლებისა დაგვარად ხარჯიც გავწიოთ.

ქვარიანი ს. ა. ტყუილად ეშინიანთ თ. წულუკიძესა და ბ-ნ ემერიკს, რომ ამ გარდასახადის გადიდება მძიმე ტვირთად დააწვება ჩვენებურს მრეწველს; ეს შიში სრულიად უსაფუძვლოა. შეიძლება დროებით ცოტაოდენი ზარალი მოუვიდეთ იმ ექსპორტერებს, რომელთაც რამდენისამე წლით კიდეც მიუყიდნიათ მადანი საზღვარ გარედ სხვა და სხვა ფირმებისათვის, მაგრამ ეს დიდი უბედურება არ არის. თუ ამით ვინმე იზარალებს, ისევ ეს ფირმები იზარალებენ. რომ ჩვენი მადანი ადვილად აიტანს $^3/_4$ კაპ. გარდასახადს-კი არა, ერთ კაპეიკსაც, ეს ყველასათვის ცხადია. მე იმ აზრისა ვარ, რომ მოემატოს გარდასახადი, მით უმეტეს, რომ კრებას ზევრნაირი აუცილებელი საჭიროება აქვს.

ჭიჭინაძე პ. (ექიმი). ბ-ნი ემერიკი წინააღმდეგია საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებისა და ჰბრძანებს, რომ ვითომც გარდასახადის მომატება საჭირო არ არის, რომ რაც ეხლა შემოსავალი აქვს კრებას, ისიც საკმარისია ჩვენის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ჰბრძანებს იმასაც, რომ ზოგიერთი დაწესებულება, რომელიც მოხსენებულია საბჭოს თავმჯდომარისა მიერ, ჯერ საჭირო არ არის კრებისათვისო, მაგრამ არ დაგვისახელა, რომელი დაწესებულება არ არის საჭირო? მაგალითად, იქმნება საავადმყოფოს დაარსება იყოს მეტი? ან სკოლის დაარსება, ან სტიპენდიების, ან დაზღვევა მუშებისა და სხ.? მე ვფიქრობ, რომ ყველა ეს დაწესებულებანი და სხ. ამ გვარი აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ჩვენითვის; ამიტომაც მე ვემხრობი იმათ, ვინც გარდასახადის მომატების თანახმაა. ამ საგნის გარდაწყვეტა შემდეგის მახლობელ სხდომისათვის გადაიდვა.

კრება 31 ივლისამდის დაიხურა.

## წერილი ბარის ოსეთიდგან.

ამ ჟამად აქეთ მხარეს დიდი მშვიდობიანობაა. წინა წლებივით წელს აღარსაიდგან მოისმის სხვა და სხვა ხივილი: იქ კაცი მოჰკლეს, იქ დაჩხვლიტეს, იქ ცხენ-ხარ-ძროხა დაიტაცეს, იქ ცხვრის ჯოგი გაირეკეს და სხვა... ერთი სიტყვით, ამ ჟამად ყველანი მშვიდად ვახშმობენ და დილით დამაშვრალთ, მუშაობით დაქანცულთ ღამე არხეინად სძინავთ და მეორე დილით უშიშრად ემლევიან ჩვეულებრივ მუშაობასა. ასე გასინჯეთ, მკითხველო, რომ ღამე-კი თავისს საქონელს აღარავინ ჰყარაულობს. შებინდდება თუ არა, ყველა თავისს ცხენსა და ხარებს მინდორში ეღალება უზრუნველად-უყარაულოდ; დილით მოუდით გამაძღარი საქონელი, აბამენ ურემში და არხეინად მიდიან სამუშაოდ.

ჰხედავ ყველა ამას და ეკითხები ბარის ოსს: „რად სწადიხარ აგრე, რად აგდებ მინდორში უპატრონოდ საქონელს, არ გეშინიან ქურდის, რომ მოგპაროს? ბარის ოსი ღიმილით გიპასუხებს: „ღმრთმა დიდ ხანს აცოცხლოს ტოლსტოი (თერგის ოლქის უფროსი), ისა ჰყარაულობსო“.

ეხლანდელი დროის მშვიდობიანობას ბარის ოსი ადარებს განსვენებულის სმეკალოვის დროს, როცა ის თერგის ოლქის უფროსად იყო. მისს დროსაც ასე სიმშვიდე იყოვო, მაგრამ თანაც დასძენენ: „სმეკალოვმა „როზგით“ შეაშინა ქურდები, ეს ტოლსტოის დრო-კი სულ საკვირველი არისო“.

ბ-ნის თერგის ოლქის უფროსის ტოლსტოის განკარგულებით, ამ ჟამად ყარაულები არიან დაყენებულნი ყველა იმ ადაგას ქისტების საზღვრებზედ, საიდგანაც ქურდების შიშია.

ყარაულები ღამე გამუდმებით მიდი-მოდიან ერთ-ერთის საზღვრებზედ და ათვალიერებენ ყველა საშიშსა და საეჭვო ადგილებს. ამ რიგად ყარაულების დაყენებამ საზღვრებზედ დიდად შეაფერხა ქურდობა.

ქართველი ოსებში.

# უცხოეთი

—

**ჩინეთი.** რუსეთის სამხედრო მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტის გროდეკოვის შემდეგი დეპეშა მიიღო, ხაბაროვსკიდგან 1 აგვისტოს გამოგზავნილი: „ორმოცდა ათის წლის წინად, 1 აგვისტოს, ნეველსკიმ აღმართა რუსეთის დროშა მდინარე ამურის მარცხენა ნაპირზედ და ამით სათავე დაუდო ჩვენს მფლობელობას ამ მდინარეზედ. დღეს, ხანგრძლივის ბრძოლის შემდეგ, ჩვენ ამურის მარჯვენა ნაპირიც დავიჭირეთ და დავამთავრეთ ამ მდინარის შემოერთების საქმე; ეხლა მოსაზღვრე-კი არა, ჩვენი საკუთარი მდინარეა“. ამ დეპეშის გამო თითქმის ყველა რუსული გაზეთები სწერენ, რომ სათავე დაედო მანჯურიის შემოერთების საქმეს და ჩინეთის ამ კუთხის რუსეთის პროვინციად გადაქცევასაო.

— ამას წინად რუსეთის ჯარმა აიღო ნიუ-ჩუანი და იქ დროებით რუსული მართვა-გამგეობა შემოიღო. ამ ამბავმა ძალიან აალაპარაკა თურმე ევროპისა და იაპონიის ჟურნალ გაზეთები. განსაკუთრებით გერაფრად ეჭვმნიგა თურმე ეს იაპონიას. ნიუ-ჩუანი პორტ-არტურის მახლობლად არის და ძალიან მოხერხებული ადგილი უჭირავს. რუსეთის მაგალითმა, სწერს ერთი გაზეთი, მადა გაუხსნა სხვა სახელმწიფოებს და მათაც მოიწადინეს ქალაქების დაპყრობაო. შეიძლება ეხლაც ისეთი ამბავი მოხდეს, როგორიც კიაო-ჩაუს, ვეი-ხაი-ვეისა და პორტ-არტურის აღების დროს მოხდაო.

— როგორც უკვე დეპეშებმა გვაცნობეს, იმპერატრიცა და იმპერატორი მოკავშირეთა ჯარის მოახლოვებისთანავე პეკინიდგან სადღაც სხვაგან წასულან. იმათთან ერთად პეკინს სხვა წარჩინებულნი ჩინელნიც გაცლიან. პრინცი ტუანი პირველი დაძრულა თურმე. „დალციელის სააგენტოს“ შანჰაიდგან ატყობინებენ: „პრინცი ტუანი და 100 სხვა წარჩინებული ჩინელი პეკინიდგან გაიქცნენ. რამწამს 23 ივლისის გამარჯვების ამბავი მოსულა პეკინში, უმაღლესი მოხელენი და ხალხი მაშინვე შესდგომიან იქიდგან „გახიზნვას“. არ იციან იმპერატორი და იმპერატრიცა სით წავიდნენ და საზოგადოდ სად აპირებენ დაბინავებას. ზოგი გაზეთი იმასაც ამტკიცებს, რომ იმპერატორი მოკლულიაო.

— „რეიტერის სააგენტოს“ გონკონგიდგან ატყობინებენ: „საიდუმლოდ გაიგეს, რომ კანტონის სამაზრეებში ჩინელებმა ახალი დიდი ზარბაზნები დადგეს. შიგ ქალაქში 2 ათასი მაჭმადიანთა და 15 ათასი „შავის დროშების“ ჯარია; ყველანი მაუზერისა და ვინჩესტერის თოფებით არიან შეიარაღებულნი. მცხოვრებნი მშვიდობიანად არიან და არავის გულისთვის არ უნდათ რამე შეტაკება მოხდეს და ამით ვაჭრობა შეჩერებულ იქმნას. კანტონსა და მის ახლო-მახლო ხმას ავრცელებენ, რომ ჩრდილოეთ ჩინეთში მოკავშირეთ-კი არა, ჩინელებმა გაიმარჯვესო“.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** რამდენად ცუდად არის ინგლისის საქმე სამხრეთ აფრიკაში, სჩანს, სხვათა შორის, იქიდგანაც, რომ მთავრობა ეხლაც კი საკმაოდ არა სთვლის იმ ჯარს, რაც რობერტსსა იქა ჰყავს და ახალსა ჰგზავნის. ამას წინად მთავრობამ 500 ჯარის-კაცი გაუგზავნა, 27 ივლისს კიდევ—200 ჯარის-კაცი. ამბობენ, ამას არა სჯერდებიან და ამ დღეებში სხვა ჯარსაც გაჰგზავნიანო. უთუოდ ამ ახალ ჯარს იმიტომა ჰგზავნიან, რომ სამხრეთ-აფრიკაში მრავალნი გაჰხდნენ ავად და ბრძოლაში მონაწილეობას ვეღარ იღებენ. თვით ინგლისურისავე გაზეთის „Times“-ის სიტყვით, ისე დღე არ გავა თურმე, რომ პრეტორიაში რამდენიმე ჯარის-კაცი არ გახდეს ავად; ეხლა პრეტორია სამხედრო ბანაკს კი არა, დიდს საავადმყოფოს წარმოადგენსო. სხვა-და-სხვა სენი საშინლად დაჰრევია ინგლისის ჯარს და მუსრს ავლებს თურმე.

— „Impar“-ს მახადოპიდგან საყურადღებო ცნობებს ატყობინებენ ბურების ჯარის შესახებ. ამ გაზეთის სიტყვით, ომის დაწყებიდგან თიბათვემდე ბურებს მოუკლეს სულ 1800 კაცი, დაუჭრეს და ავად გაუხდათ 8000. ამ უკანასკნელთაგან ნახევარი უკვე მორჩენილა და ჯარს შეერთებია. ტყვედ წაიყვანეს ინგლისელებმა სულ 5000 კაცი, ამას გარდა 6000 მეომარმა იარაღი დაჰყარა; სულ ამ რიგად ბურების ჯარს მოჰკლებია 17,000 კაცი. ივნისში ბურებს ჰყავდათ სულ 30,000 მეომარი; ეს ჯარი ასე იყო განაწილებული: 9000—ორანჟის რესპუბლიკაში, 4000—ქრისტიანე ბოტას უფროსობით სტანდერტონსა და ვრედეში, 4000—დელარეის უფროსობით დასავლეთ ტრანსვაალსა და რუსტემბურგის ოლქში და 11,000—ლუი ბოტას უფროსობით პრეტორიის ჩრდილოეთით.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად პარიჟში დაიბეჭდა საყურადღებო წიგნი, რომლის ავტორიც ჩინელი პრინცი, იმპერატორის კვანგ-სუს ძმაა. წიგნი ჩინურიდგან ფრანგულს ენაზედ გადათარგმნილია საფრანგეთის საელჩოს პირველ მდივნად ნამყოფის ვილლიერის მიერ. პრინცს ეს წიგნი დაუწერია ჩინეთში მოგზაურობის დროს. ჩინელი პრინცები პეკინიდგან ძალიან იშვიათად გადიან. თუ რამ ძალიან საჭირო საქმე არ აღმოჩნდა. ფეხს არ გადადგამენ პეკინიდგან. ზემოხსენებული პრინციც მთავრობას რაღაც ძალიან საჭირო საქმის გამო გაუგზავნია პროვინციაში და თავისი წიგნი ამ მოგზაურობის დროს დაუწერია. უმთავრესად პრინცი ევროპიელებს ეხება და ადარებს ევროპიულსა და ჩინურ კულტურას. პირველად ეს პრინცი ევროპიელებს ტიან-ძინში შეხვედრია. ევროპიელნი,—სწერს პრინცი თავიანთის მხიარულებითა და სიცოცხლით მოზრდილ ბავშვებს მოგაგონებენ. შემდეგ პრინცი, ჩინელთა ზრდილობაზედ ლაპარაკობს და, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჩინელებს მაღლა აყენებს ევროპიელებზედ. პრინცის აზრით, ევროპიელებმა არავითარი წესი ზრდილობისა, არავითარი მანერები არ იციან ქუდის მოხდის გარდაო. შემდეგ ავტორი უმატებს: „გავიგე, რომ ჩინელების ზნე-ხასიათი თან და თან ვრცელდება ევროპაში. ნაპოლეონ პირველის შემდეგ მთელს საფრანგეთში ჩვეულებად შემოიღეს ნაწნავის ტარება. იაპონელები, რომელთაც ევროპიელების ჩვეულებანი გადაიღეს, დღეს ყველას სასაცილოდ გადაიქცნენ. ეხლა იაპონელები თვითა ჰხედავენ, რომ ევროპიელნი ძალიან ჩამორჩნენ ჩინელებს და ბევრი რამ გადაიღეს იმათგან“. საზოგადოდ პრინცი არა ჩვეულებრივის პატრიოტიზმით ყოფილა გატაცებული და დიდის დიდებით შეაქებს თავისს სამშობლოს, იმის ზნე-ჩვეულებას, ხასიათს და ლიტერატურას. პრინცს მხოლოდ ევროპიელთა ზოგიერთი ახალი გამოგონება მოსწონებია. ამ შემთხვევაში პრინცი ყველაზედ მაღლა აყენებს პიანინოს, რომლის ხმაც პირველად ტიან-ძინში გაუგონია. „საიდუმლო ხმები ამ საკრავისა,—სწერს პრინცი,—ზოგჯერ ქარიშხალივით მქუხავი, ზოგჯერ ნიავივით ნელი, საოცრად მოქმედებს ადამიანზედ.“ მოსწონებია აგრეთვე ტელეფონიც. ევროპიელებთან თარჯიმანის შემწეობით ლაპარაკი სიცილად არა ჰყოფნის პრინცს. ასეთი ლაპარაკი სათეატრო წარმოდგენას მოჰაგონებსო, ამბობს იგი.

* * *

14 აპრილიდგან დაწყობილი 14 ივლისამდე 14,370,800 შესასვლელი ბილეთი გაუყიდნიათ პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ. ივლისის მეორე ნახევარში შემსვლელთა რიცხვი შემცირებულა, რადგანაც საოცარი სიცხეები იყო და ხალხი მაგრე რიგად არ ეტანებოდა გამოფენას. ყველაზედ ცოტა 27 ივლისს ყოფილა ხალხი—143,898 კაცი. სულ დღემდე გამოფენა 20,067,405 კაცს დაუთვალიერებია.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ოა)

(დასასრული *)

იქვე მიწერილია:

სამოც-და-თექვსმეტის წლისა არის ეს ნასყიდობა—ეს ქორონიკონი. ივნის ზ, ქ~ნს უპბ. შ~ე ო~ო ს~ლ არონ მღდელსა ა~ნ.

(გვ. 192, ძველის გაკრულის მხედრულით, ფრიად ხელოვნურად): ქ: ფრიად ცოდვილსა ქსნის ერისთავს შერმაზასა შეუნდვენ ღმერთმან... შემინდვენ ღმერთმან.

(გვ. 380, მხედრულით): ქ. ჩვენ, ძირმოდგმობით ერისთავთ ერისთავმან, პატრონმან შანშემან, პატრონმან ყულარაღასმან, ბატონმან იასემ და რევაზ და ძემან ჩვენმა იოვანემ,—კადრეთ და მოგართვით ძველადგან ჩვენის მამა-პაპათაგან თქვენთვინ შამოწირული მამული, ახლა ჟამთა ვითარებით დაკარგულიყო და მაზედა მსახლობელი კაცი ამოწყვეტილიყო და ის მამული ქურთელებს ეშოვნა და თქვენთვინ გლეხს კაცებს ართმევდენ ბევრს, ქვრივს და ობოლს შაწუხებდნენ ახლა ის მამული ისევ თქვენთვინ დაგვიდვია(?) ვინც ამას შლად შითად კელყოს და შენ გამოგწიროს ან ჩემმან ნათესავმა ანუ დიდმან ანუ მცირემ, შეჰრისხევდეთ ღმერთმან დიდსა მას განკითხვისასა და... დაისჯება ქრისტე რომ მას

| |
|---|
| მონა ღ~ა მპყრობელი... |

ბეჭედი ნახევრად დაზიანებულია.

(გვ. 533, ტექსტის ხელით): სრულ იქმნა სრულებით წმიდაჲ ესე სახარებაჲ განგებეთა და ზანდუკთა სრული და მართალი კელითა ნიკოლოზ კატრაწისძისათა. ვინცა იმსახურებდეთ, ლოცვა ყავთ ჩემთვის, რამეთუ მშრომელი... და ნაცარ ვიქმნე, ხოლო ნაშრომი ჰგიეს ო...

(გვ. 534, ხუცურად, არა ტექსტის ხელით):

სულსა ქუენიფნეველისა ერისთავთ ერისთავისა შალვაჲსსა შეუნდვენ ღ~ნ.

სულსა ძისა მათისა ერისთავთ ერისთავისა ლარგუელისასა შ~ნ ღ~ნ ა~ნ.

სულსა ძისა მისისა ერისთავთ ერისთავისა ვირშელისასა შ~ნ ღ~ნ ა~ნ..

სულსა ძეთა მისთა: ამირახორისა და ერისთავისა ქუენიფნეველისასა შ~ნ ღ~ნ.

სულსა მათისა ძმისა ამირეჯიბისა და ერისთავთ ერისთავისა იოანესსა (იესსა) შ~ნ ღ~ნ ა~ნ.

სულსა მათისა მეუღლისა მანათობისა შ~ნ ღ~ნ.

სულსა ძისა მათისა ერისთავთ ერისთავისა ვირშელისასა შ~ნ ოჳფალო ღმერთო ა~ნ.

სულსა მათისა ბიძისა გიორგისსა შ~ნ ღ~ნ.

სულსა მისისა დისა დედაბერისა ვისისსა შ~ნ ღ~ნ.

სულსა მათისა დედისა გუანცაჲსსა შ~ნ ღ~ნ

სულსა....ს დედაჲსსა შ~ნ ღ~ნ.

სულსა ყოველთა ქუჱნიფნეველთა მიცვალებულთა, ძუელთა და ახალთა, დედათა და მამათა, შეუნდვენ ღმერთმან.

შემდეგ ნაჩვენებია რა და რა ადგილები სახარებისა უნდა წაიკითხონ მიცვალებულთათვის და „სულისა ზარსვებსა“, და მერე

სულსა ერისთავთ ერისთავისა ამირეჯიბისა ქუენიფნეველისა იოანესსა (იესსა) შ~ნ ო~ო ღ~ო ა~ნ.

სულსა მათისა მეუღლისა, მეფეთ მეფისა დავითის ასულისა, გულბარისსა შეუნდვენ ღმერთმან ამინ.

სამწუხაროდ, ამ მესანიშნავს წიგნს ქორონიკონი გადაწერის წლისა არ უზის: თავს მოუჭამია ის ადგილი, სადაც ქორონიკონი უნდა წერებულიყო. მიუხედავად ამისა, თვით კელთ ნაწერი გვიმტკიცებს, რომ ეს სახარება გადაწერილია არა უგვიანეს მე-XII—XIII საუკუნისა. ამას ამტკიცებს თვით განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის ნაწერიც უდაზედ, რუსულად: „Четвероевангеліе Ларгвисскаго монастыря (не позже XIII вѣка) съ приписками Ксанскаго Эристава Квенипневели Шалвы и 6-тю рисунками портретовъ“.

ამას ცოტა შესწორება უნდა. ზემორე მოყვანილი წარწერები თვით შალვასა-კი არ არის, არამედ შემდეგ დროს ნაწერილი (არა უგვიანეს მე-XV—XVI საუკუნისა, შალვა კი სცხოვრობდა მე XIV საუკუნეს). გულბარი (და არა გულშარი, როგორც ჰკითხულობენ ზოგიერთნი) იყო ასული დავით მეფისა (1346—1360 წ.).

მ. ჯანაშვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 აგვისტო.

**ლონდონი.** „შავის დროშების“ უფროსი ლანი 3,500 კაცით პეკინისაკენ მიდის. გზაზედ ყველგან მუქარის აფიშებია გაკრული. ჯარისკაცები და ადგილობრივნი მცხოვრებნი მისსიების ქონებას ანადგურებენ.

**შანხაი.** გაზეთების სიტყვით, შესულა თუ არა შეერთებული ჯარები პეკინის გარეთა ნაწილში, მაშინვე სასტიკი ბრძოლა ატეხილა. შეერთებულმა ჯარებმა მერე ქალაქის წმიდა ადგილის კედელი გაარღვიეს და აიღეს იგიო. 4,000 ჩინელმა ქრისტიანმა შეერთებულს ჯარებს დიდი დახმარება აღმოუჩინა იმითი, რომ ქალაქის უცნობს ადგილებს აცნობდნენ. შეერთებულ ჯარების დროშები ამ ჟამად იმპერატორის სასახლეზეა ამართული. ქუჩებში ისევ ბრძოლაა; ჩინელები ჯერ ისევ დიდს წინააღმდეგობას უწევენ.

**ბერლინი.** გერმანიის ადმირალი იუწყება, რომ იმპერატორის არხზედ მდგომი ჩინელი ჯარი კიდევ უპირებს იან-ცზეუნს თავ-დასხმასაო.


# განცხადებანი

## Отъ конторы газеты „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Изданіе газеты „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“ будетъ возобновлено

**СЪ 18-ГО АВГУСТА НАСТОЯЩАГО ГОДА.**

Подписчики прошлаго года, непожелавшіе взять обратно оставшіяся за конторой деньги, будутъ получать газету БЕЗЪ ДОПЛАТЫ съ 18-го августа по 1-е октября. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать газету и затѣмъ, съ 1-го октября по 1-е января 1901 г., доплачиваютъ 2 руб. 50 коп. Новые же подписчики за время съ 18-го августа по 1-е января 1901 года платятъ 3 руб. 50 к. Подписчики прошлаго года, въ случаѣ перемѣны адреса за время до 18-го августа, сообщаютъ о томъ заблаговременно въ контору „Нов. Об.“, причемъ особой доплаты за перемѣну адреса не вносятъ.

**Для пріема подписки и объявленій контора (Барятинская, д. кн. Тумановыхъ) открыта по вторникамъ и пятницамъ, отъ 6 до 7 час. вечера.**


*) იხ. „ივერია“, № 173.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე